ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა.

ქ.ამბროლაური

2024 წლის 24 სექტემბერი

ოქმი N 3

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ბესიკ ბაქრაძე-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხიდიკრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი,მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კვაცხუთში,

2.გოჩა კობერიძე -ამბროლაურის მუნიციპალიტეტის იწის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი,მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კრიხში,

3.მარიამ კერესელიძე--ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სადმელის თემის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი,მცხოვრები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირაგეულში,

4. ირინა კერესელიძე - ,,წითელი ჯვარი"-ს წარმომადგენელი,

5.სოსო ცხვედიანი- შპს.,,გეოფლაუერი" -ს წარმომადგენელი;

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ქევანაშვილი,

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ირმა ფრუიძე.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ასევე ესწრებოდნენ სტაჟიორები: იურიდიული განყოფილებიდან ნატა გეწაძე და განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობის განყოფილებიდან შოთა თომაძე.

დღის წესრიგი:

1. 2024 წლის ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა"-ის ფარგლებში პროექტების მიმდინარეობა, დასრულებული და მიმდინარე პროექტების თაობაზე ინფორმაციის გაცნობა.
2. მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივნისს N1025 განკარგულების ფარგლებში ინფორმაციის მიწოდება.
3. სხვადასხვა.

სხდომას უძღვებოდა მერის მოადგილე თამარ ქევანაშვილი, რომელმაც დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო საბჭოს წევრებს.

მერის მოადგილემ თამარ ქევანაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო მერიაში დასაქმებული სტაჟიორები.აღნიშნა,რომ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იკრიბება ყოველ 3 თვეში ერთხელ და ისმენს მათ წინადადებებს, იდეებს. შემდეგ მოხდება წინადდადების შესწავლა და მათი განხორციელება. აღნიშნა,რომ მემორიალური დაფის მოწყობა(ვეტერანების), რომელსაც ითხოვდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხიდიკრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის

სახელით, წარმომადგენელი ბესიკ ბაქრაძე, აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად დაიდო ხელშეკრულება.

დღის წესრიგის საკითხი - 2024 წლის ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა"-ის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 734 000 ლარი,ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან განისაზღვრა 64 000 ლარი თანადაფინანსების თანხა.

სოფლის მხარდაჭერის პროექტებზე განხორციელებულ და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია საბჭოს წევრებს გააცნო სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომელმა ევგენი კერვალიშვილმა.(წარმოგიდგენთ ცხრილის სახით)

თამარ ქევანაშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ სხვავასთან დაკავშირებით, რომლის გაყოფასაც ითხოვდა მოსახლეობა 3 ნაწილად, ზედა სხვავა, სხვავა და ქვედა სხვავა- გადაიდო.(საკმარისი მოტივი და საფუძველი ვერ მოიძია).

მთავრობის განკარგულებით მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივნისს N1025 განკარგულების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობისა და ჩართულობის ხელშესაწყობად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამბროლაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 170.000ლარი. პროექტები შეირჩევა მერის წარმომადგენლების მეშვეობით მოქალაქეებთან გამართული კონსულტაციების შედეგად,მუნიციპალიტეტის მერისთვის წარდგენილი წერილობითი მიმართვის საფუძველზე.წარმოდგენილი ინიციატივის განხილვის შემდგომ პროექტების შერჩევის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი. პროექტის ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს დასახლებებში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები,სანიაღვრე არხების მოწყობის,ფანჩატურების, საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სხვა.ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების თანხა განისაზღვრა 50 000 ლარის ოდენობით.

თამარ ქევანაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობის ასოციაციასთან ერთად მუნიციპალური და ინოვაციური სერვისების გაუმჯობესების მიზნით.თუ ვინმეს გაქვთ იდეა, რომ წარვადგინოთ მუნიციპალიტეტმა და ფიქრობთ, რომ სერვისი კარგი იქნება შესაძლებელია შემოგვთავაზოთ თავისი მოსაზრებები, გრანტის თანხა 25 000 ლარია.

თამარ ქევანაშვილმა აღნიშნა, რომ არის სიახლე სოფლებში, სოფელ ჭრებალოდან იწყება სოლიდარობის ფონდთან ერთად ინტერნეტ სივრცის მიწყობა, იქნება Wi-Fi.

თამარ ქევანაშვილმა აღნიშნა აგრეთვე, რომ 2024 წლის ბიუჯეტი დღეის მდგომარეობით არის 32 მილიონი,უმეტესობა 16-18 მილიონი მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის,დანარჩენი ნაწილდება სოციალური ჯანდაცვის პროგრამების, განათლების მიმართულებით,სახელფასო ფონდი და შიდა ხარჯები.მომავალი წლისთვის ვვარაუდობთ ბიუჯეტის 36 მილიონამდე თანხის გაზრდას. მიმდინარე წელს 200-მდე ინფრასტრუქტურული პროექტი სრულდება, რომელსაც მუნიციპალიტეტი ანხორციელებს. წელს იყო პროექტებით დატვირთული წელი...აღნიშნა თამარ ქევანაშვილმა.

აზრი გამოთქვეს: სოსო ცხვედიანმა გამოთქვა აზრი, რომ ტელევიზია ცუდად მუშაობს და არის ხარვეზი.

დენის კაბელები,რომელიც ზამთარში თოვლმა დააზიანა..ისევ ისეა და არის შესაკეთებელი.აღნიშნა,რომ შუქი სოფელში ითიშება ხშირად.

თამარ ქევანაშვილმა აღნიშნა,რომ ენერგო-პრომ შეკეთება დაიწყო სოფელ ურავიდან და ეტაპობრივად მოხდება დაზიანებული ელექტრო ბოძების შეცვლა-შეკეთება.

აზრი გამოთქვეს: ბესო ბაქრაძემ გამოთქვა აზრი,რომ სოფელ ხიდიკარში,სადაც ახალი ფანჩატური არის გაკეთებული არსებობს წყლის პრობლემა.რომ არ უხერხდება ფანატურთან წყლის გაყვანა და თუ იქნებოდა შესაძლებელი ჭის გაკეთების.

აზრი გამოთქვეს: ირინა კერესელიძემ აღნიშნა, რომ სოფელ სადმელში არის სასმელი წყლის პრობლემა.

აზრი გამოთვეს: მარიამ კერესელიძემ აღნიშნა, რომ სოფელ ჯვარისაში არ იცლება დროულად ნაგვის ბუნკერები, რომელიც პრობლემას ქმნის.

მრჩეველთა საბჭოს წევრების მიერ მოწოდებული შენიშვნები და ხარვეზები შემდგომი გამოსწორების მიზნით ჩანიშნულია რეაგირებისთვის.

დაადგინეს: მორიგი სხდომა გაიმართება მომდევნო მე-3 თვეში დამატებით თარიღი წევრებს მდივნის მიერ ეცნობება სატელეფონო შეტყობინებით.

საბჭოს თავჯდომარის მოადგილემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საბჭოს თავჯდომარე ირინა კერესელიძე /ი.კერესელიძე/

სხდომის მდივანი მზია მიქაუტაძე / /